ოქმი N 1

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2024 წლის 25 იანვარი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლევანი ლიპარტია
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. მალხაზი იოსავა
5. აკაკი მალანია
6. ბადრი რიჟამაძე
7. ფელიქსი წურწუმია
8. სერგო ბერაია

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ლიპარტია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 25 იანვრის N50-50240255 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ).
(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმის განხილვა.
(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

3. საკრებულოს წევრის მალხაზ იოსავას 2024 წლის 23 იანვრის განცხადების განხილვა.
(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 25 იანვრის N50-50240255 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)
(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“,რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გადიდდა შემოსულობები და განისაზღვრა - 24193.0 ათასი ლარით. გადასახდელები განისაზღვრა 27950,4 ათასი ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის შემოსულობები იზრდება კერძოდ: 1423,9 ათასი ლარით მუხლიდან „გრანტები“ (მათ შორის: 1344,2 ათასი ლარი - გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან), საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის N185 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა - „განახლებული რეგიონები“;

81,4 ათასი ლარი შემოსავალი მუხლიდან „სხვა შემოსავლები“ (მათ შორის: 34,4 ათასი ლარი - ,,პროცენტი“, 17,0 ათასი ლარი - ჯარიმები, 30,0 ათასი ლარი არაწარმოებული აქტივები (მიწა);

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით ხობის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილია 5541,1 ათასი ლარი რომელიც მიიმართება პრიორიტეტის-,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ მუხლის „არაფინანსური აქტივები“-ს ასიგნებაზე, კერძოდ: 5541,1 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ ასიგნებაზე.

ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმის განხილვა

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა განაცხადა, რომ კომისია ყოველი წლის დასაწყისში ამზადებს კომისიის სამუშაო გეგმას, რომელიც მტკიცდება საკრებულოს ბიუროს მიერ, ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადებული 2024 წლის სამუშაო გეგმა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად.

3. საკრებულოს წევრის მალხაზ იოსავას 2024 წლის 23 იანვრის განცხადების განხილვა

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს წევრის მალხაზ იოსავას განცხადება, საკრებულოს არათანამდებობის პირი წევრების უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ხარჯების გაზრდის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრმა მ. იოსავამ აღნიშნა რომ უნდა მოხდეს არათანამდებობის პირი საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ხარჯების ანაზღაურების გაზრდა, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ არსებობს ჩანაწერი, რომ საკრებულოს რიგითი წევრების ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა უნდა იყოს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს 15%, რის საფუძველზეც ითხოვს ხარჯების ანაზღაურების ოდენობის გაზრდას.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული ჩანაწერი კანონის გარდამავალ დებულებაში იყო, რომელიც ამ ეტაპზე ძალადაკარგულია, ხოლო რაც შეეხება თანხის გაზრდას, ამ ეტაპზე ეს ვერ განხორციელდება ახალ დამტკიცებულ ბიუჯეტში.

კომისიის წევრების უმრავლესობა დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარის პოზიციას.

კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა - გამომდინარე იქედან, რომ განმცხადებელი მ. იოსავა კომისიის წევრია და კომისიაზე მოისმინა უმრავლესობის პოზიცია მის მიერ განცხადებით დასმულ საკითხზე, აუცილებლობას არ წარმოადგენს წერილობით ეცნობოს მას კომისიის გადაწყვეტილების თაობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევანი ლიპარტია